

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



საია ეხმარება მედიის წარმომადგენელთა უფლებების დარღვევის ფაქტს

ნაძალადევის #24 საარჩევნო უბანზე დაფიქსირდა მედიის წარმომადგენლების უფლებების შეზღუდვა. კერძოდ, რეზონანსის კორესპონდენტებს სალომე სიგუას, თამთა კაკაურიძისა და იაგო ნაცვლიშვილის მიმართ ადგილი ჰქონდა სიტყვიერ შერაცხუფას და ფიზიკური შეურაცხუფის მცდელობას ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია „სამოქალაქო საზოგადოების და დემოკრატიის ცენტრის“ დამკვირვებლის მიხედვით, „კავკასიის კვლევითი ცენტრის“ დამკვირვებლების ვალერიან

ზირაქაშვილისა და ვინმე გიორგის მიერ, რომლებმაც თავი „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებად წარადგინეს.

საია ახორციელებს ჟურნალისტების უფლებების დაცვას, კერძოდ ადგილზე მყოფი ჩვენი დამკვირვებლის მიერ შედგენილ იქნა საჩივარი ნაძალადევის საოლქო საარჩევნო კომისიის სახელზე, მოთხოვნით, რომ კომისიამ შეადგინოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმი მედიის წარმომადგენლებისათვის პროფესიულ საქმიანობაში ხელშეშლის თაობაზე. რაც ითვალისწინებს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის სახით ჯარიმას 500 ლარის ოდენობით.

კონფლიქტის უშუალო მიზეზი გახდა ჟურნალისტების მიერ საარჩევნო უბნის მიმდებარე ტერიტორიის ფოტოგადაღება და გარეთ მყოფი ჯგუფურად შეკრებილი პირების დაფიქსირება. აღსანიშნავია, რომ ჯგუფურად შეკრებილი ადამიანები აღრიცხავდნენ საარჩევნო უბნებზე გამოცხადებულ პირებს.

აქვე ავღნიშნავთ, რომ საია-ს დამკვირვებლების მიერ ნაძალადევის ოლქის #31, 33, 34, 36, 39, 40, 59, 60, 89, 90, 78, 80, 81, 85, 86 საარჩევნო უბნების მიმდებარე ტერიტორიაზე დაფიქსირდა პირთა ჯგუფი, რომლებიც აწარმოებდნენ მოსული ამომრჩევლების აღრიცხვას. ჩვენ ისევ, როგორც გასულ არჩევნებზე, კვლავაც განვმარტავთ, რომ აღნიშნული წარმოადგენს ამომრჩევლის ნების გამოვლენაზე ირიბ კონტროლს და მიზანშეუწონელია.

საია იმედს გამოთქვამს, რომ განცხადებაში მითითებულ ფაქტებთან დაკავშირებით შესაბამისი სტრუქტურები ადექვატურ რეაგირებას მოახდენენ.